თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

27.12.2023

N 5760

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს

საჯარო სექტორთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს

ნ. წამალაშვილს

საქართველოს
რკინიგზა
1872-დან

თქვენი 2023 წლის 18 დეკემბრის N 5/69074 წერილის პასუხად, ქალაქ ფოთში მდებარე 5 ერთეული მიწის ნაკვეთის (ს/კ 04.01.05.507, 04.01.05.505, 04.01.05.506, 04.01.05.503 და 04.01.05.504) მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, შემდგომში მათი განკარგვის მიზნით გაცნობებთ რომ, სამომავლოდ აღნიშნულ ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობების აშენების შემთხვევაში, აუცილებელია დაცულ იქნას საგაბარიტო ზომები-განაპირა ლიანდაგის ღერძიდან არანაკლებ 11 მეტრი და ნებისმიერი სახის სამშენებლო პროექტი საჭიროა წინასწარ შეთანხმდეს სს „საქართველოს რკინიგზასთან".

მითითებული ტერიტორიისა და სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ურთიერთგანლაგებიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთებზე გავრცელებული პირობები (შეზღუდვები) დამოკიდებულია განსახორციელებული საქმიანობის სახეობაზე და რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობებით, ნორმატიული დოკუმენტებით, სამშენებლო-ტექნიკური ნორმებითა და წესებით, სახანძრო უსაფრთხოების და სანიტარულ-ჰიგიენური წესების მოთხოვნებით.

ზემოაღნიშნული ნორმების, პირობებისა და საგაბარიტო ზომების დაცვის შემთხვევაში სს „საქართველოს რკინიგზა" არ არის წინააღმდეგი განახორციელოთ მითითებული უძრავი ქონების განკარგვა კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

კორპორატიული მართვის დეპარტამენტის უფროსი

ნინო ჯორბენაძე